საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი: საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი

მომართვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.08.2018

მომართვის რეგისტრაციის ნომერი: 112/18

მომართვა შემოტანილია: ადვოკატ დ. გ.-ს მიმართ /სიითი №/

მომართვის მოთხოვნა: ადვოკატ დ. გ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის შინაარსი:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2018 წლის 10 აგვისტოს მომართა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა თ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის თანახმად, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის წარმოებაშია სისხლის სამართლის საქმე, რომლის ფარგლებშიც 2018 წლის 28 ივნისს ჩატარდა

საგამოძიებო მოქმედება - მოწმის გამოკითხვა. აღნიშნულ საპროცესო მოქმედებას დაესწრო ადვოკატი დ. გ. მის მიერ წარმოდგენილი ორდერის საფუძველზე. წარმოდგენილ ორდერში მითითებული იყო, რომ „ადვოკატს ევალებოდა დაეცვა კონკრეტული მოწმის ინტერესები, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში". 2018 წლის 02 აგვისტოს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში ადვოკატთა ასოციაციიდან მიღებული წერილიდან გაირკვა, რომ ადვოკატ დ. გ.-ს გააჩნია მხოლოდ სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია.

1.3 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, 2022 წლის 8 თებერვალს, საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს არ მიუღია მონაწილეობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 13 სექტემბერს ადვოკატმა დ. გ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა იმ მოტივით, რომ მის მიმართ არ არსებობს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

2.2 ადვოკატის განცხადებით, 2018 წლის 27 ივნისს დ. ქ.-მა მიმართა მას სამართლებრივი დახმარების გაწევის მიზნით. მათ შორის არსებული შეთანხმების თანახმად, სისხლის სამართლებრივ საკითხებში დ. ქ.-ს სამართლებრივ დახმარებას გაუწევდა სპს ,,----" დასაქმებული სისხლის სამართლის ადვოკატი. იქიდან გამომდინარე, რომ დ. ქ.-ის გამოკითხვა შემჭიდროებულ ვადებში დაიგეგმა, გამოკითხვას დროის უქონლობის გამო ვერ დაესწრებოდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი, ადვოკატმა დ. გ.-მ გამოწერა ორდერი და დაესწრო აღნიშნულ საგამოძიებო მოქმედებას.

2.3 ადვოკატის განმარტებით, კანონმდებლობიდან გამომდინარე, იგი ვალდებული იყო საგამოძიებო მოქმედებაზე დასასწრებად წარედგინა ორდერი, ხოლო ორდერის დასაშვებადობის შემოწმება თავად გამომძიებლის ვალდებულებაა, შესაბამისად იქიდან გამომდინარე, რომ „გამოძიების დაწყებამდე უფლებამოსილი პირების მხრიდან არ მომხდარა რაიმე დარღვევის აღმოჩენა", ადვოკატმა ჩათვალა, რომ ყველაფერი კანონის სრული დაცვით მიმდინარეობდა, მით უფრო, მისთვის ცნობილი იყო, რომ მოცემული ეტაპი იყო მხოლოდ გამოკითხვა და არა გამოძიების სხვა სტადია.

2.4 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, 2022 წლის 8 თებერვალს ადვოკატმა დ. გ.-მ განმარტა, რომ პროკურატურის პოზიცია დაუსაბუთებელია და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატის განმარტებით, იგი წარმოადგენდა დ. ქ.-ის, საქართველოს ყოფილ პირველ ვიცე-პრემიერს, ეკონომიკის მინისტრსა და შემდგომ ფინანსთა მინისტრს პროკურატურაში, როგორც ადვოკატი, გამოკითხვის ფარგლებში ერთჯერადად. ადვოკატმა დ. გ.-მ აღნიშნა, რომ მას კარგად ესმოდა საკუთარი სპეციალიზაციის უფლებამოსილება, თუმცა მისი კლიენტის გამოკითხვის საკითხი ეხებოდა ფინანსურ საკითხებს, მათ შორის სამოქალაქო სამართლის საკითხებს. კონფიდენციალობიდან გამომდინარე ადვოკატი არ საუბრობს

გამოკითხვის დეტალებზე, მაგრამ განმარტავს, რომ კლიენტმა სთხოვა გაყოლოდა გამოკითხვაზე მათი დიდი ხნის ურთიერთობიდან გამომდინარე (ამ საქმეზე კლასიკური საადვოკატო მომსახურების შეთანხმება მხარეებს შორის არ დადებულა). ადვოკატის განმარტებით, ის დ. ქ.-ს, როგორც სამოქალაქო სამართლის კონსულტანტი ისე გაჰყვა დაკითხვაში მონაწილეობის მისაღებად.

2.5 ადვოკატ დ. გ.-ს განმარტებით, პროკურატურას წვდომა აქვს ადვოკატთა ერთიან რეესტრთან და მას თავად უნდა გადაემოწმებინა ინფორმაცია ადვოკატის სპეციალიზაციაზე. პროკურატურამ იგი გამოკითხვაზე ისე დაუშვა, რომ მისი სპეციალიზაცია არ უკითხავს, არ უთქვამს, რომ ადვოკატს არ შეეძლო გამოკითხვაზე დასწრება. ადვოკატის განმარტებით, ძალიან გვიან გაახსენდა პროკურატურას, რომ ადვოკატს არ ჰქონდა სისხლის სამართლის სპეციალიზაცია.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან გამომძიებელს ორდერი წარუდგინა. გამომძიებელს მისთვის არ უკითხავს და არ მოუთხოვია მისი ადვოკატის მოწმობა. ადვოკატს არ აქვს ვალდებულება განუმარტოს გამომძიებელს თავისი სპეციალიზაცია საკუთარი ინიციატივით. აღნიშნული გამომძიებელმა თავად უნდა გაარკვიოს სანამ პირს გამოკითხვაზე დაუშვებს. ადვოკატი აღნიშნავს, რომ კლიენტთან ერთად მასზეც გაიცა საშვი და ის დაახლოებით 4 საათი იმყოფებოდა კლიენტის გამოკითხვაზე. გამომძიებელს არ მოუხდენია ადვოკატის იდენტიფიკაცია, ორდერის გარდა სხვა დოკუმენტი არ მოუთხოვია. ამ გამოკითხვის შემდეგ ადვოკატმა გაარკვია, რომ დ. ქ.-ს სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატი სჭირდებოდა და ურჩია მას მიემართა სისხლის სამართალში სპეციალიზებული ადვოკატისთვის. ძალიან მალე ადვოკატმა დ. გ.-მ ასევე გააკეთა საჯარო განცხადება, რომ დ. ქ.-ის ინტერესებს აღარ დაიცავდა და განმარტა უარის თქმის საფუძვლები.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატს მიუხედავად სპეციალიზაციისა, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს კლიენტთან კომუნიკაციის მომსახურების საგნიდან გამომდინარე, მაგალითად სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს უნდა შეეძლოს იმ კლიენტთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეხვედრა, ვისაც სამოქალაქო სამართლის საქმეებზე ემსახურება. ფინანსურ საკითხებში ბრალის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია კლიენტს ჰყავდეს ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით. ადვოკატის შეფასებით, მიმდინარე დისციპლინური საქმე პრეცედენტულია, რომ კოლეგებისთვის არ შეიზღუდოს სპეციალიზაციის მიუხედავად საადვოკატო საქმიანობა. ადვოკატის განმარტებით, მას ჰქონია გამოცდილებაც, როდესაც წინა ხელისუფლების პირობებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოინახულა კლიენტი და კონსულტაცია გაუწია სამოქალაქო სამართლის საკითხებზე.

2.8 ადვოკატის შეფასებით, მას ვერავინ აუკრძალავს პროკურატურაში კლიენტთან ერთად მივიდეს და გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია. მის შემთხვევაში გამომძიებელს ჰქონდა ადვოკატის დასაშვებობის საკითხის შემოწმების ვალდებულება, რომელმაც არ შეამოწმა ადვოკატის სტატუსი, ადვოკატის სპეციალიზაცია და დაუშვა კლიენტთან ერთად გამოკითხვაზე. ადვოკატი უთითებს, რომ იგი გამოკითხვას დაესწრო სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში, მაგრამ საკითხები სამოქალაქო სამართალს - ფინანსურ საკითხებს ეხებოდა.

2.9 ადვოკატ დ. გ.-ს განმარტებით, თუ შეუძლებელია კლიენტისთვის მყისიერად მინდობილობის გაკეთება, შესაძლებელია სამოქალაქო სამართლის საქმეში ადვოკატი ჩართული იყოს ორდერის საფუძველზე და იგივე მიდგომა უნდა აირჩიოს კომისიამ მიმდინარე საქმეშიც. ეთიკური გადაცდომა ვერ იქნება კლიენტისთვის კვალიფიციური დახმარების გაწევა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წლის 27 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ დ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია - იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი დ. გ., რომელსაც გააჩნია სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაცია, დაესწრო საგამოძიებო მოქმედებას სისხლის სამართლის საქმეზე და გამომძიებელს წარუდგინა ორდერი, რომლის მიხედვითაც „ადვოკატს ევალებოდა დაეცვა კონკრეტული მოწმის ინტერესები, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში“, ადვოკატის მხრიდან სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

4.1.1 ადვოკატმა დ. გ.-მ გამოწერა ორდერი, რომლის თანახმად დაესწრო საგამოძიებო მოქმედებას სისხლის სამართლის საქმეზე და გამომძიებელს წარუდგინა ორდერი, რომლის მიხედვითაც „ადვოკატს ევალებოდა დაეცვა კონკრეტული მოწმის ინტერესები, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში.“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

28.06.2018 წლის ორდერი, გაპ.

4.1.2 ადვოკატ დ. გ.-ს სპეციალიზაცია - სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართალი, სიითი №.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთიანი რეესტრი

4.1.3 ადვოკატი დ. გ. ერთხელ დაესწრო კლიენტის - დ. ქ.-ის გამოკითხვას პროკურატურაში და შემდეგ შეწყვიტა მისი მომსახურება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის ახსნა-განმარტება

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ დ. გ.-ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ დ. გ.-ს მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტი - „საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია: კანონიერება ..."

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი - „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები".

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი - „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირის ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის ქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობასა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს".

6.2 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას, ადვოკატს კლიენტი მიმართავს იმ მიზნით, რომ მან თავისი ცოდნა და უნარები გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად, თუმცა კლიენტის სამართლებრივი დახმარებისას ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა მხოლოდ კანონით დაშვებული დაცვის საშუალებები გამოიყენოს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ადვოკატს ანიჭებს უფლებას კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რომელიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით.

6.3 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი დ. გ. 2018 წლის 28 ივნისს კლიენტის - დ. ქ.-ის გამოკითხვაზე დასწრების მიზნით ორდერის ამოწერით და გამომძიებლისთვის წარდგენით მოქმედებდა მისი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაიდან როგორც ადვოკატმა აღნიშნა, სპს „---" სისხლის სამართლის ადვოკატი გამოკითხვის შეთანხმებიდან შემჭიდროებულ ვადაში ჩანიშვნის გამო ვერ ასწრებდა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობას. ამასთან, საკითხი რაზეც ადვოკატის კლიენტი მოწმის სტატუსით დაიბარეს პროკურატურაში, მჭიდროდ უკავშირდებოდა სამოქალაქო სამართლის საკითხებს და ესაჭიროებოდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის სამართლებრივი დახმარება. ადვოკატ დ. გ.-ს კლიენტი, დ. ქ., პროკურატურაში გამოკითხვაზე დაბარებული იყო მოწმის სტატუსით. განხილვის კოლეგია

ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის პროფესიულ ქცევაზე, რაც გახდა წარმოების ეტაპზე დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი: ადვოკატმა დ. გ.-მ გამოწერა ორდერი, რომლითაც მის უფლებამოსილებად განსაზღვრა დაეცვა მოწმის, დ. ქ.-ის ინტერესები, ორდერი წარუდგინა გამომძიებელს და დაესწრო მოწმის გამოკითხვას.

6.4 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა ორდერში მიუთითა მისი სიითი ნომერი. შესაბამისად, ადვოკატმა სწორი ინფორმაცია მიაწოდა გამომძიებელს, რომელსაც როგორც საქმისმწარმოებელ პირს, აქვს ვალდებულება მოახდინოს პირის იდენტიფიკაცია, ასევე სამართლებრივად კონკრეტული მოქმედების შესასრულებლად შეამოწმოს პირის დასაშვებობის პირობები და მიაწოდოს მას ამის შესახებ ინფორმაცია. ადვოკატთა ერთიანი რეესტი საჯაროა, შესაბამისად, ადვოკატს ჰქონდა მოლოდინი, რომ როდესაც მასზე კლიენტთან ერთად გაიცა საშვი, მისი დაშვების პირობები შემოწმებული იყო და რადგან იგი გამოკითხვაზეც დაუშვეს, მას აღნიშნულის უფლება ჰქონდა და მისი ქცევა ჯდებოდა კეთილსინდისიერების ფარგლებში.

6.5 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მსჯელობას ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან და ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტიდან გამომდინარე, რომელთა თანახმად, ადვოკატებს აქვთ მათ მიერ შერჩეული სპეციალიზაციის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულება, ასევე ადვოკატს, რომელსაც ჩაბარებული აქვს ადვოკატთა, მოსამართლეთა, პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა სპეციალიზაციის მიხედვით, უფლება ეძლევა, საადვოკატო საქმიანობა შესაბამის დარგში განახორციელოს ...“. აღნიშნული არ გამორიცხავს ადვოკატის უფლებას, რომ ადვოკატმა მის სპეციალიზაციას მიკუთვნებული საკითხების ფარგლებში მომსახურება გაუწიოს იმ კლიენტს, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატმა კონსულტაცია გაუწიოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ კლიენტს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე, დაესწროს კლიენტის გამოკითხვას პროკურატურაში და შეასრულოს სხვა ისეთი სამართლებრივი მოქმედებები, რის შესაძლებლობასაც იძლევა მისი სპეციალიზაცია და მიმდინარე კანონმდებლობა. აღნიშნულს ადვოკატთა პრაქტიკაში არაერთხელ ჰქონია ადგილი, სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატებს ზემოაღნიშნულ შემთხვევებში აქვთ შესაძლებლობა იმოქმედონ პროფესიული სტატუსით ორდერის ან მინდობილობის საფუძველზე.

6.6 კოლეგია ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზეც: ადვოკატსა და კლიენტს შორის მომსახურებაზე შეთანხმება არ მომხდარა მოცემულ კონკრეტულ გამოკითხვაზე დასწრებისთვის, მათ შორის მანამდე არსებობდა ხანგრძლივი საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა. კლიენტისთვის ცნობილი იყო ადვოკატ დ. გ.-ს სპეციალიზაცია და გამოცდილება, საკითხი, რაზეც იგი დაიბარა მოწმის სტატუსით პროკურატურამ კავშირში იყო სამოქალაქო სამართალთან და ადვოკატ დ. გ.-ს შეეძლო კვალიფიციურად დახმარებოდა მას. ადვოკატი დ. გ. ერთხელ დაეხმარა კლიენტს, კერძოდ დაესწრო მის გამოკითხვას პროკურატურაში და შემდეგ უარი თქვა მისი მომსახურების გაგრძელებაზე, რადგან საკითხების შინაარსიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა სპეციალიზებული ადვოკატის ჩართულობით დაცვის გაგრძელება. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ დეტალზეც, რომ ადვოკატმა, რომელიც შემჭიდროებულ ვადებში მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, შეავსო მის საადვოკატო ბიუროში არსებული ორდერის

ფორმა და მასში ფორმალურად იყო მითითებული კლიენტის დაცვა ,,წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში.“ სასურველია ეს ნაწილი ორდერში არ ყოფილიყო მითითებული და მხოლოდ პროკურატურაში დაცვა ჩაწერილიყო, თუმცა აღნიშნული ფორმალური დეტალი არ არის საკმარისი ადვოკატის ქცევის არაეთიკურად კვალიფიკაციისთვის. ადვოკატისთვის კლიენტის ინტერესების დაცვა უფრო დიდი სიკეთეა, ვიდრე ორდერში ფორმალური უზუსტობა. ქცევის ერთჯერადი ხასიათიდან გამომდინარე, კლიენტის ინფორმირებულობისა და სამართალდამცავი ორგანოსთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების პირობებში, ადვოკატმა დ. გ.-მ იმოქმედა კეთილსინდისიერად და კლიენტის კანონიერი საშუალებებით დაცვის ფარგლებში. შესაბამისად, ადვოკატ დ. გ.-ს (სამოქალაქო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს) ორდერის გამოწერითა და პროკურატურაში კლიენტის გამოკითხვაზე დასწრებით არ დაურღვევია კანონიერი საშუალებებით კლიენტის დაცვის ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, 37-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №112/18 ადვოკატ დ. გ.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/